## საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №785

ქ. თბილისი "28" 11 2008წ.

### შ.პ.ს „საგარეჯოს ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ გაერთიანება"-ზე ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტისა და „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „კ" ქვეპუნქტის და მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შ.პ.ს „საგარეჯოს ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ გაერთიანება"-ზე ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზია მაიონებელი გამოსხივების იმ მაგენერირებელი მოწყობილობების სამედიცინო მიზნით გამოყენებისათვის, რომლებიც არ შეიცავს რადიოაქტიურ წყაროებს ან/და ბირთვულ მასალებს.
2. დაევალოს სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს გასცეს ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისი სალიცენზიო მოწმობა.
3 ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შ.პ.ს „საგარეჯოს ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ გაერთიანება"-ს.
4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჯახნაკიას მოხსენებითი ბარათი და შ.პ.ს „საგარეჯოს ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ გაერთიანების"-ს განცხადება.

418
09-12-2008

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

დაეგზავნოს: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურს, შ.პ.ს „საგარეჯოს ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ გაერთიანებას", კანცელარია